USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

საპილოტე პროექტის შერჩევის პროცედურა

USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის
პროგრამა საქართველოში

საპილოტე პროექტის შერჩევა

USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 30 საპილოტე პროგრამა, რომლებიც დაკავშირებულია ენერგოეფექტიანობასთან, მოთხოვნის მართვასთან, ენერგიის მართვის სისტემებსა და დივერსიფიცირებულ, მდგრად, განახლებად ენერგიასთან. პროგრამა უზრუნველყოფს მატერიალურ ან/და საკონსულტაციო შენატანებს თითოეული საპილოტე პროექტისთვის კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად. შენატანები შესაძლოა იყოს სხვადასხვა სახით წარმოდგენილი, მათ შორის, მხარდაჭერა ნატურალური ფორმით, ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურება ან მატერიალური შენატანი. პროგრამა არ შეიცავს საგრანტო კომპონენტებს, რაც გულისხმობს, რომ ფულადი შენატანები არ იქნება გათვალისწინებული პროგრამით. ამ შენატანებს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს პროგრამის საქმიანობის წარმატებაში, რათა ხელი შეუწყოს განახლებად ენერგიას და ენერგოეფექტიანობას კერძო სექტორში მნიშვნელოვანი ექსპერტიზის, რესურსების და სხვა სახის მხარდაჭერის უზრუნველყოფით. საპილოტე პროექტები შეიძლება მოიცავდეს მიკრო ზომის პროექტებს, მცირე და საშუალო ზომის ქარის, მზის და ჰიდროენერგეტიკის ტექნოლოგიებს ან ბიომასის ენერგიას. ამასთან, შენატანები პროექტის განხორციელების პროცესში შეიძლება მოიცავდეს დაფინანსების ინოვაციური მიდგომების ან/და ბიზნეს მოდელების გამოყენებას.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება მოსაზრებები და შეზღუდვები, რომლებიც იდენტიფიცირებული იქნება ქალებისა და მარგინალიზებული მოსახლეობის მიერ, განსხვავებული ენერგეტიკული პრიორიტეტებითა და საჭიროებებით.

წინადადებების შეფასებისას, პროგრამა დამატებით ქულებს მიანიჭებს საპილოტე პროექტებს ქვეყნის სხვადასხვა გეოგრაფიულ ადგილებში და პროექტებს, რომლებიც აქტიურად უჭერს მხარს ქალთა და უმცირესობათა ჩართულობას. პროგრამა განიხილავს ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ახალ სტრატეგიებს და ორიგინალურ ბიზნეს მოდელებს, რათა ხელი შეუწყოს განახლებად ენერგიასა და ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებას სხვადასხვა სექტორში.

თანმიმდევრული მეთოდოლოგიის დანერგვით, პროგრამა უზრუნველყოფს მხოლოდ ისეთი პროექტების შერჩევას და განხორციელებას, რომლებიც აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს, რაც მაქსიმალურად გაზრდის პროგრამის გავლენას საქართველოში სუფთა ენერგიის ტექნოლოგიების პოპულარიზაციისთვის. ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკი სრულად უნდა იყოს აღმოფხვრილი და უზრუნველყოფილი კომპანიის მიერ, რომელსაც აქვს საკმარისი შესაძლებლობები აღჭურვილობის გარანტიების მხარდასაჭერად. პროგრამა არ ითვალისწინებს რამე სახის ტექნოლოგიურ რისკს.

ცხრილი 1: *საპილოტე პროექტებისთვის შესაფერისი საილუსტრაციო ტექნოლოგიებისა და ბიზნეს სექტორების კატეგორია*

მზე	ქარი	წყალი
მზის ენერგიაზე მომუშავე გარე განათება ახალ მოწყობილობებში	ქარის განაწილებული ენერგია	მიკრო ჰიდროელექტროსადგური (HPP) ნეტოაღრიცხვით
მზის ენერგიაზე მომუშავე წყლის სატუმბი სისტემა	შენობაზე დამონტაჟებული ქარის ენერგიის სისტემა	მიკრო ჰიდრო მააკუმულირებელი საცავი

მზე	ქარი	წყალი
მზის ენერგიაზე მომუშავე გაგრილების სისტემა	ქარის ენერგიაზე მომუშავე სასოფლო-სამეურნეო სატუმბი სისტემა	ჰიდრო მააკუმულირებელი საცავი
მზის ენერგიაზე მომუშავე სათბური		
მზის ენერგიაზე მომუშავე სამაცივრე სისტემა		
მზის ვირტუალური ნეტოაღრიცხვა		
ნულოვანი ბალანსის სასტუმრო / რესტორნები / აგროტურიზმი		
განახლებადი ენერგიის საგანმანათლებლო ლაბორატორია		
ენერგოეფექტიანობა	**მოთხოვნის მართვა**	**ენერგიის მართის სისტემა**
გათბობის, ვენტილაციის და კონდიცირების ეფექტიანი სისტემა	ჭკვიანი აღრიცხვა	დატვირთვის ავტომატური მართვის ტექნოლოგია
დაფინანსებული დანაზოგების პარიტეტული განაწილება	პიკური დატვირთვის შეზღუდვა	გენერატორის ავტომატური კონტროლი მრეწველობისთვის
თბური ტუმბოები	მიკრო ქსელი	საზედამხედველო კონტროლის და მონაცემთა მიღების მოწინავე სისტემები მრეწველობისთვის
LED განათება	ენერგეტიკული საზოგადოებები	ჭკვიანი სახლი
ენერგოეფექტიანობა სამრეწველო პროცესებისთვის	ტერიტორიული დამუხტვა	ჭკვიანი ქარხანა
	სისტემა ავტომობილი-ქსელი	ჭკვიანი სოფლის მეურნეობა

საპილოტე პროექტის შეფასება

განაცხადების კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პასუხების შეფასებისას, პროგრამა შეაფასებს თითოეულ საპილოტე პროექტს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით, მათ შორის:

- შესაბამისობა USAID-ის განვითარების მიზნებთან - USAID-ის სტრატეგიულმა პარტნიორებმა უნდა განამტკიცონ მედეგობა მავნე ზეგავლენის საპასუხოდ
- <u>განმეორებადობა კერძო სექტორის სუბიექტების მიერ -</u> სასურველია, რომ საპილოტე პროექტის ხელახლა განხორციელება მარტივად უნდა იყოს შესაძლებელი სხვა მსგავსი სუბიექტების მიერ.
- <u>ინოვაციური მიდგომები/ტექნოლოგიები</u> - შესაძლებელია ტექნოლოგიებთან, ბიზნეს მოდელებსა და დაფინანსების სქემებთან დაკავშირებული ინოვაციური მიდგომების გამოყენება
- <u>შენატანის ოდენობა</u> – მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორის შენატანის მინიმალური ოდენობა შეადგენს 50%-ს, დამატებითი მნიშვნელობა მიენიჭება

საპილოტე პროექტის ინიციატორებს, რომლებიც მზად არიან გააკეთონ უფრო დიდი მოცულობის შენატანები

- <u>მასშტაბურობა</u> – რეკომენდებულია, რომ საპილოტე პროექტი იყოს მასშტაბური - მოიცავდეს, როგორც მცირე და საშუალო საწარმოებს, ისე მსხვილ კომპანიებს
- <u>ტექნოლოგიების მრავალფეროვნება</u> – სასურველია, რომ ტექნოლოგია, რომელზეც დაფუძნებულია საპილოტე პროექტი, იყოს გამორჩეული ან უნიკალური და ხელს უწყობდეს ახალი პროცესების ან მიდგომების დანერგვას საქართველოს მზარდ ენერგეტიკულ ბაზარზე.
- <u>გეოგრაფიული დაფარვა</u> - საპილოტე პროექტები უნდა იყოს გეოგრაფიულად გაფანტული. პროგრამა გაითვალისწინებს 30 საპილოტე პროექტის გეოგრაფიული დაფარვის ზონას და შეეცდება, რომ თანაბრად გადაანაწილოს საპილოტე პროექტი საქართველოს ყველა რეგიონში.
- <u>ეკომეგობრული</u> – საპილოტე პროექტი უნდა ახდენდეს დადებით და აშკარა გავლენას კლიმატის ცვლილებაზე, სათბურის გაზების გაფრქვევის შემცირების ან თავიდან აცილების გზით.
- <u>ბენეფიციართა რაოდენობა</u> - საპილოტე პროექტმა, მდებარეობის მიუხედავად, უნდა გააუმჯობესოს არამხოლოდ რამდენიმე შერჩეული ადამიანის, არამედ ადამიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობის ცხოვრების ხარისხი. საპილოტე პროექტებმა თანაბარი სარგებელი უნდა მოუტანოს ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სხვა უმცირესობების წარმომადგენლებს.
- <u>ქალთა ჩართულობა</u> – საპილოტე პროექტებმა, ყველა გარემოებაში, ხელი უნდა შეუწყოს ქალების ჩართულობას და უზრუნველყოს, რომ პროექტთან დაკავშირებული სარგებელი თანაბრად არის ხელმისაწვდომი ქალებისთვის.
- <u>განხორციელების ვადა</u> – საპილოტე პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი დრო შეზღუდული უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას 30-ვე საპილოტე პროექტის დასრულება პროგრამის ვადის ბოლომდე
- <u>პროექტზე ხელმისაწვდომობა</u> – თითოეული საპილოტე პროექტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის.
- <u>პროექტის დაწყება მოკლე ვადაში</u> – უპირატესობა მიენიჭება საპილოტე პროექტებს, რომლებიც შეიძლება დაიწყოს დაუყოვნებლივ და დასრულდეს 4 თვის განმავლობაში.

საპილოტე პროექტის შეფასების პროცესი წარიმართება მიუკერძოებლად, ქულების მინიჭების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. ზოგიერთი კრიტერიუმი გადამწყვეტია და პირდაპირ უნდა დაკმაყოფილდეს; სხვა ინდიკატორებს მიენიჭებათ გარკვეული ქულები.

ცხრილი 2: *კრიტერიუმების დადგენა და ქულების განაწილება*

სპეციალური კრიტერიუმები		
განახლებადი ენერგია/ენერგოეფექტიანობა/მოთხოვნის მართვა/ენერგიის მართვის სისტემები	დიახ	განაგრძეთ შეფასება
	არა	არადამაკმაყოფილებელი
განხორციელების ვადა 2 წელზე ნაკლები	დიახ	განაგრძეთ შეფასება
	არა	არადამაკმაყოფილებელი
კერძო სექტორის შენატანი (მინიმუმ 50%)	დიახ	განაგრძეთ შეფასება
	არა	არადამაკმაყოფილებელი

სპეციალური კრიტერიუმები		
განმეორებადობის პოტენციალი	დიახ	განაგრძეთ შეფასება
	არა	არადამაკმაყოფილებელი
ეკომეგობრული	დიახ	განაგრძეთ შეფასება
	არა	არადამაკმაყოფილებელი
ხელმისაწვდომობა	დიახ	განაგრძეთ შეფასება
	არა	არადამაკმაყოფილებელი
შერჩევის კრიტერიუმები ქულებით		
ინოვაციური გადაწყვეტები/ტექნოლოგიები	დიახ	1
	არა	0
მასშტაბურობა	დიახ	1
	არა	0
პროექტის განხორციელების თვეები	0- 4	4
	5 - 10	3
	11-16	2
	17-22	1
კერძო სექტორის მატერიალური შენატანის ოდენობა	80%-ზე მეტი	4
	71-80%	3
	61 -70%	2
	50%-60%	1
დამატებითი ქულები		
სარგებელი უმცირესობის ჯგუფისთვის	1	
ქალების ჩართულობა	1	
გეოგრაფიული დაფარვის ზონა	1	

შერჩევა

პროგრამის ფარგლებში მოწვეული იქნება შესარჩევი კომისია, რომელიც შედგება პროგრამის შესაბამისი თანამშრომლებისგან, რომლებიც გააკეთებენ საბოლოო არჩევანს. შერჩევის პროცესისთვის საჭიროა 5-დან 10 სამუშაო დღე.

შეირჩევა კონკურსის ფარგლებში წარდგენილი ყველაზე მაღალი ქულიანი პასუხები და წარედგინება USAID-ს დასამტკიცებლად.

პროგრამის ფარგლებში პერიოდულად ხელახლა გამოცხადდება განაცხადების კონკურსი, სანამ სრულად არ განხორციელდება 30 საპილოტე პროექტი პროგრამის ვადის განმავლობაში (2026 წლის მაისი).

კონკურსი იქნება ღია 15 სამუშაო დღის განმავლობაში, გამოცხადების თარიღის ჩათვლით.

დამტკიცება

პროგრამა შერჩეულ პროექტებს წარუდგენს USAID-ს საბოლოო დამტკიცებისთვის.

შერბილების და მონიტორინგის გეგმა

თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებასა და პროექტის რეალურ განხორციელებამდე, პროგრამა შეიმუშავებს გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებისა და მონიტორინგის გეგმას (EMMP) საპილოტე პროექტისთვის, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება USAID-ს.

EMMP-ის შემუშავებას და დამტკიცებას სავარაუდოდ, დასჭირდება არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა.

თანამშრომლობის ხელშეკრულებით პროექტის განხორციელება არ დაიწყება მანამ, სანამ USAID არ დაამტკიცებს EMMP-ს. საპილოტე პროექტის კონტრაქტორი წარმართავს პროექტის განხორციელების აქტივობებს EMMP-ის მოთხოვნების შესაბამისად.

რისკების შეფასება

შერჩეულ კერძო პირებს მოეთხოვებათ შეავსონ რეპუტაციის რისკის შეფასების ფორმა (დანართი) თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებამდე.

თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება (ხელშეკრულება)

პროგრამა გააფორმებს ოფიციალურ, იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებას შერჩეულ საპილოტე პროექტის სუბიექტებთან. ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეთა პასუხისმგებლობებს და საპილოტე პროექტის განხორციელების პირობებს.

პროგრამის საპილოტე პროექტების მხარდაჭერა შემოიფარგლება ტექნიკური რჩევით და/ან მატერიალური მხარდაჭერით. პროგრამა არ არის უფლებამოსილი მიაწოდოს ნაღდი ფული პირდაპირ რომელიმე დაჯილდოვებულ სუბიექტს. ამ მიზეზით, პროგრამა ჩართული იქნება საპილოტე პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის დეტალური პროექტის დიზაინის მომზადებასა და საქონლისა და/ან მომსახურების შესყიდვაში.

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებისა და ხელმოწერისთვის განსაზღვრულია 5 სამუშაო დღე, USAID-ის მიერ გამარჯვებული უწყების საბოლოო დამტკიცების შემდეგ.

განხორციელება

პროგრამა, დაჯილდოვებულ სუბიექტთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, შეიმუშავებს პროექტის დეტალურ დიზაინს და თანდართულ განხორციელების გეგმას.

პროგრამის მატერიალური შენატანი აისახება აღჭურვილობისა და მოწყობილობების უზრუნველყოფაში. პროგრამა ითვალისწინებს, რომ აღჭურვილობის შესყიდვას და მიწოდებას დასჭირდება 2-დან 4 თვემდე, რაც დამოკიდებულია აღჭურვილობის ხელმისაწვდომობაზე ადგილობრივ ბაზარზე.

პროექტის მონიტორინგი და დასრულება

პროგრამა ზედამხედველობას და მონიტორინგს გაუწევს საპილოტე პროექტებს, რათა უზრუნველყოს ხარისხის შესაბამისობა და განსაზღვრული ეტაპების მიღწევის პროგრესი და EMMP მოთხოვნების შესაბამისად.

დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მოაწყონ სპეციალური ღონისძიება მედიის ჩართულობით, რათა გამოაცხადონ საპილოტე პროექტის წარმატებით დასრულება. ასეთი საჯარო ღონისძიებები მედიის ჩართულობით ხელს შეუწყობს საპილოტე პროექტებისა და მიღწეული შედეგების ხილვადობის გაზრდას, ამასთან, ხაზს უსვამს პროექტების განმეორებადობისა და მასშტაბურობის პერსპექტივას.

შედეგის შეფასება

პროგრამა შეაფასებს თითოეული დასრულებული საპილოტე პროექტის შედეგებს, რათა განსაზღვროს და გამოიყენოს მიღებული გამოცდილება. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს, რომ EMMP-ის ყველა მოთხოვნა სათანადოდ იქნეს დაკმაყოფილებული.

პროექტის გახსნის ღონისძიება

პროგრამა და გამარჯვებული სუბიექტი ითანამშრომლებენ USAID-თან, რათა უზრუნველყონ პროექტის გახსნის ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ USAID-ის მისია, აშშ-ს საელჩო, ცენტრალური და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და ბენეფიციარები. სასურველია, ეს ღონისძიება დასრულდეს პროექტის დასრულებიდან 10-40 სამუშაო დღეში.

გამოცდილების გაზიარება

ბენეფიციარ კერძო სექტორს მოეთხოვება საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს განახლებად ენერგიასთან/ენერგოეფექტიანობასთან/მოთხოვნის მართვასთან/ ენერგიის მართვის სისტემასთან დაკავშირებული საპილოტე პროექტების წარმატების ძირითადი ფაქტორები და გაუზიარონ პრაქტიკული მაგალითები მსგავსი პროექტებით დაინტერესებულ სხვა მხარეებს.

დანართი: რისკების შეფასების ფორმა

1. კორპორატიული იმიჯი	
არსებობს თუ არა ისეთი რამ მედიაში, რაც უარყოფითად აისახება სუბიექტზე? თუ ასეა, როგორ გაუმკლავდა სუბიექტი ცნობადობას ნეგატიურ ჭრილში?	
მიმდინარეობს თუ არა სასამართლო პროცესი ან იყო თუ არა წარსულში გახმაურებული სასამართლო პროცესი (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ სექსუალური შევიწროებით) სუბიექტის წინააღმდეგ?	
ეძებს თუ არა ორგანიზაცია მხოლოდ პიარის შესაძლებლობებს USAID-თან თანამშრომლობით?	
დაინტერესებულია თუ არა სუბიექტი მხოლოდ ან პირველ რიგში შესყიდვის შესაძლებლობებით ან ფულით USAID-ისგან?	
აქვს თუ არა სუბიექტს სურვილი ითანამშრომლოს USAID-თან გამჭვირვალედ ექსკლუზიური ურთიერთობის მოლოდინის გარეშე (ანუ კონკურენტების გამორიცხვის მიზნით)?	
არის თუ არა სუბიექტი მზად, მიიღოს შეზღუდვები ალიანსის საჯაროობის შესახებ (მაგ., კორპორატიული PR რელიზების, პრესისა და მედიის გაშუქების შესახებ), რათა უზრუნველყოს, რომ USAID არ აღიქმება, როგორც ორგანიზაციის ან მისი პროდუქტებისა თუ მომსახურების მხარდამჭერი?	
2. სოციალური პასუხისმგებლობა	
არის თუ არა სუბიექტი ძირითადად თამბაქოს ან ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებაში ან რეალიზაციაში ჩართული, ანუ ამ საქმიანობაში ჩართვა წარმოადგენს სუბიექტის მთლიანი პორტფელის მნიშვნელოვან წილს?	
ფლობს თუ არა სუბიექტი კარგ რეპუტაციას (არ აქვს სერიოზული პრობლემური საკითხები), განსაკუთრებით კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) კუთხით?	
აქვს თუ არა ორგანიზაციას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა თანამშრომლებისთვის, მათ შორის გენდერული ძალადობისა და სექსუალური შევიწროების შესახებ მოხსენების, საშიში მასალების მოპყრობისა და გარემოსდაცვითი ავარიების პრევენციის შესახებ?	
აქვს თუ არა სუბიექტს შრომის სტანდარტები? თუ ასეა, იყენებს თუ არა სუბიექტი ამას თავის მიწოდების ჯაჭვებსა და განაწილების ქსელებში? რა სახის ბიულეტენის, შვებულების და დეკრეტული შვებულების პოლიტიკას სთავაზობს სუბიექტი?	
3. გარემოსდაცვითი ანგარიშვალდებულება	
აგროვებს და აფასებს თუ არა ორგანიზაცია ადექვატურ და დროულ ინფორმაციას მათი საქმიანობის გარემოზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების შესახებ?	
4. პოლიტიკის თავსებადობა	
არის თუ არა სუბიექტი სახელმწიფო საწარმო? არის თუ არა სუბიექტის რომელიმე მნიშვნელოვანი აქციონერი სახელმწიფო საწარმო? ახორციელებს თუ არა სუბიექტი ინვესტიციას სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებში ან სუბიექტებში, რომელთა მნიშვნელოვანი აქციონერები არიან სახელმწიფო საწარმოები? (თუ კი, გთხოვთ, დაუკავშირდეთ GDA APS აქტივობის მენეჯერს შემდგომი მითითებისთვის).	
ირიცხება თუ არა სუბიექტი განსაკუთრებული კატეგორიის პირთა (SDN) სიაში, რომელსაც მართავს სახაზინო დეპარტამენტის საგარეო აქტივების კონტროლის	

ოფისი (OFAC) (აღმასრულებელი ბრძანება 13224): http://www.ustreas.gov/offices/enforcement/ofac/sdn/ ?	
ირიცხება თუ არა სუბიექტი უცხოური ტერორისტული ორგანიზაციების სიაში (FTO): http://www.state.gov/j/ct/rls/other/des/123085.htm ?	
ირიცხება თუ არა სუბიექტი ტერორიზმში მხილებულთა სიაში (TEL): http://www.state.gov/j/ct/rls/other/des/123086.htm ?	
ირიცხება თუ არა სუბიექტი ტერორიზმში მხილებულთა გვერდზე: http://www.state.gov/j/ct/rls/other/des/index.htm ?	
ირიცხება თუ არა სუბიექტი გაეროს კონსოლიდირებულ სიაში (რეზოლუცია 1267): https://www.un.org/sc/suborg/en/sanctions/un-sc-consolidated-list	
5. ფინანსური სტაბილურობა	
აქვს თუ არა სუბიექტს საჭირო რესურსები არასავალდებულო შეთანხმების შესასრულებლად ალიანსის შეთანხმებული საქმიანობის მხარდასაჭერად?	
არის თუ არა სუბიექტი რეგისტრირებული ბირჟაზე და აქვეყნებს თუ არა ყოველწლიურ აუდირებულ ანგარიშებს?	
აქვს თუ არა სუბიექტს მრავალწლიანი გამოცდილება (რამდენი წელია ის ბიზნესში)?	
6. საინვესტიციო და დაკრედიტების პოლიტიკა (საჭიროებისამებრ)	
მიიქცია თუ არა სუბიექტის საინვესტიციო ან დაკრედიტების პოლიტიკამ, პრაქტიკამ ან პორტფელმა ყურადღება მედიაში? დადებითი იყო თუ უარყოფითი? თუ უარყოფითია, როგორ გაუმკლავდა სუბიექტი ცნობადობას ნეგატიურ ჭრილში?	
იყენებს თუ არა სუბიექტი კლიენტის იდენტიფიკაციის („იცნობდე შენს კლიენტს“) სტანდარტებს ან პრაქტიკას?	
სუბიექტის საინვესტიციო ან დაკრედიტების პოლიტიკის, პრაქტიკისა და პორტფელის გათვალისწინებით, სუბიექტთან ან მის რომელიმე ინვესტორთან ან მსესხებელთან თანამშრომლობა გააჩენს თუ არა კითხვებს, რომ USAID მოქმედებს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის პოლიტიკასთან შეუსაბამოდ? (იხ. პოლიტიკის თავსებადობა ზემოთ)	